



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 236/ს
25/05/2023

236-21-4-202305251210



ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფოლადის სადნობი ინდუქციური ღუმელების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ (ს/კ - 216302150) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 26 დეკემბერს (წერილი N7759) წარმოდგენილი იქნა ქ. რუსთავში, ფოლადის სადნობი ინდუქციური ღუმელების მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N2/ს 09/01/2023) შექმნა. სააგენტომ ასევე უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. გზმ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „ზეციხელი 2010“-ის მიერ.

2021 წლის 1 დეკემბერს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილი იყო აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შესაბამისად განსაზღვრულ იქნა გზმ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და ამ ინფორმაციის გზმ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებები (სკოპინგის დასკვნა N9; ბრძანება N2-157; 01/03/2022).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გარკვეული საკითხების, ასევე წერილობითი და საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხების დაზუსტების მიზნით, სააგენტომ 2023 წლის 20 მარტის (წერილი N21/1869) წერილით მიმართა საქმიანობის განმახორციელებელს. ამასთან, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ. აღნიშნული წერილის პასუხად, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (წერილი N2512; 24.03.2023), კერძოდ დაზუსტდა: საწარმოო შენობის შესახებ ინფორმაცია, ჯართის განთავსების ოპერაციის კოდი, უწყვეტი მონიტორინგის სისტემის დამონტაჟების საკითხი, ღუმელიდან გამოყოფილი აირმტვერნარევის ფილტრის შესახებ ინფორმაცია, ლითონის შემცველი მტვერის დროებითი დასაწყობების პირობების შესახებ ინფორმაცია, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჯართის მართვის საკითხი, საწარმოს მოსაზღვრე ტერიტორიების და

საქმიანობის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია. რომელიც ასევე განხილული იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N147/ს 31.03.2023). დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დაინტერესებულ საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №7-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.05.03.372). საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 4391.75 მ²-ს. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოდან დაშორებულია 300 მეტრით. საწარმოს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება შპს „ნიკა 2004“-ის ლითონდამამუშავებელი და სამჭედლო საამქრო, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან 80 მეტრში განთავსებულია სს „ყაზბეგის“ ლუდის კომბინატი, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან 150 მეტრში განთავსებულია შპს „პროგრესის“ კვების მრეწველობის ობიექტი, სამხრეთ-დასავლეთით საკადასტრო საზღვრიდან 100 მეტრში განთავსებულია შპს „სტანდარტ ცემენტის“ ცემენტის საწარმო, სამხრეთ-დასავლეთით საკადასტრო საზღვრიდან შპს „სანდოს“ სამშენებლო ბლოკების საწარმო, საწარმოს სამხრეთით საკადასტრო საზღვრიდან 180 მეტრში მდებარეობს შპს „კანოს“ ლითონკონსტრუქციების ქარხანა, ჩრდილო-აღმოსავლეთით 90 მეტრში მდებარეობს შპს „გრანდი“ რკინის ნაკეთობების საწარმო, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს, 500 მეტრიან რადიუსის ზონაში ასევე ხვდება შპს „ანტონის“ ლითონის დამამუშავებელი საწარმო, შპს „გილდიას“ ჯართის მიმღები პუნქტი. საწარმოს ჩრდილოეთით გადის რკინიგზის ჩიხი. საწარმომდე მისასვლელად გამოყენებული იქნება მშვიდობის ქუჩიდან 350 მეტრი სიგრძის შიდა გზა.

ანგარიშში განხილულია პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტები. მათ შორის მოცემულია არაქმედების, მტვერგამწმენდი სისტემის, ტექნოლოგიური და საწარმოს განთავსების ტერიტორიის ალტერნატივების ანალიზი. ანგარიშის შესაბამისად, არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა წარმოებული პროდუქციის საჭიროების და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით. გზშ-ის ანგარიშში განხილულია ქ. რუსთავში, მარის არხის III დასახლებაში ს/კ 02.07.02.516 კომპანიის საკუთრებაში არსებული ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორია და ქ. რუსთავში, მაზნიაშვილის ქუჩა №2ა, ს/კ 02.05.03.351 და ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №7, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით 02.05.03.372. შესაბამისი კრიტერიუმების, მათ შორის უახლოესი საცხოვრებელი ზონიდან მანძილის, ელექტრო მომარაგების არსებობის, ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირებით გამოწვეული ნაკლები ზემოქმედების (მისასვლელი გზა არ გადის დასახლებულ პუნქტში) და სხვა გარემოსდაცვითი, ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობების გათვალისწინებით ადგილმდებარეობის ალტერნატივებიდან შეირჩა ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთი. ინდუქციურ ლუმელებს უპირატესობა მიენიჭა სხვა ლუმელებთან შედარებით დაბალი აირმტვერნარევის გამოყოფის გათვალისწინებით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში იგეგმება ორი ერთეული ინდუქციური ლუმელის მოწყობა, რომლებიც იმუშავებენ მონაცვლეობით, კერძოდ, როდესაც ერთი იფუნქციონირებს, მეორე ლუმელი სარემონტო რეჟიმში იქნება. ლუმელის სარემონტო რეჟიმში ყოფნისას ხდება მათი მოპირკეთება სპეციალური ცეცხლგამძლე მასალებით. წლიურად დაგეგმილია 7200 ტონა ფოლადის გამოდნობა. საწარმო წელიწადში იმუშავებს

3600 საათს. საპროექტო ღუმელის წარმადობაა 2 ტ/სთ-ში. ინდუქციური ღუმელები განთავსდება დახურულ შენობაში.

საწარმოს ძირითად ნედლეულს წარმოადგენს რკინის ჯართი (კოდით 17 04 05). ჯართის გადამუშავების აღდგენის კოდია R4 (მეტალების ან მეტალების ნაერთების რეციკლირება/აღდგენა) მოხმარებული ნედლეულის რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს - 8700 ტ-ს. ჯართის გარდა სხვა სახის დანამატების გამოყენება არ იგეგმება, დაგეგმილია მხოლოდ ჯართის დნობა.

საწარმოში არ მოხდება ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჯართის შემოტანა. მიღებულ ჯართში ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჯართის შემთხვევით მოხვედრის შემთხვევაში, დროებით განთავსდება საწარმოო შენობაში და შემდგომ ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტს. ჯართში ფეთქებადი საგნების აღმოჩენის შემთხვევაში, ხდება მათი ამოღება და უსაფრთხო ადგილზე დასაწყობება (უსაფრთხო ადგილად ითვლება შეზღუდული ხელმისაწვდომობა არა ავტორიზებული პერსონალის, ასევე შემღებისდაგვარად მაქსიმალური დაშორება სამუშაო სივრციდან) და ინფორმაცია მათი აღმოჩენის შესახებ ეცნობება შესაბამის სამსახურს, რომელიც მოახდენს მის გატანას.

ტექნოლოგიური პროცესის თანახმად, შემოტანილი ჯართის დამუშავება (დაჭრა) გათვალისწინებულია აირული ჭრის აპარატით (ბუნებრივი აირისა და ჟანგბადის გამოყენებით), ჯართის სასაწყობო ტერიტორიაზე, რომელიც ღია სივრცეა და მობეტონებულია. ჯართი დაიჭრება შესაბამის ზომებად და ჩაიტვირთება ღუმელში. გამდნარი ფოლადი ჩამოსხმება 2-ტონიან სპეციალურ (ცეცხლგამძლე მასალებით დამზადებულ) კოვში. კოვშიდან თხევადი ფოლადის ჩამოსხმა მოხდება ცეცხლგამძლე მასალით დამზადებულ შესაბამის ყალიბებში („კოკილებში“). ყალიბებიდან ამოღებული გაცივებული ფოლადი წარმოადგენს საბოლოო პროდუქტს, რომლის შემდგომი დამუშავება საწარმოში არ იგეგმება. საწარმოში გათვალისწინებულია ღუმელების გაგრილების ბრუნვითი სისტემის მოწყობა. ანგარიშის თანახმად, ინდუქციური ღუმელების გაგრილება გათვალისწინებულია დარბილებული წყლით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში ასევე გათვალისწინებულია საყალიბე და საკოპე უბნების მოწყობა. საყალიბე ნარევი მომზადდება შესაბამის დანადგარში - რბიაში, სადაც გამოყენებულ საყალიბე ნარევს ემატება 10-12% ახალი საყალიბე ქვიშა და ბენტონიტი, ასევე წყალი (საჭიროების მიხედვით). დამზადებული ყალიბი მიეწოდება ჩამოსხმის უბანს. ყალიბებში ჩამოსხმული სხმულების გაცივების შემდეგ მოხდება სხმულის და საყალიბე ნარევის განცალკევება. გამოყენებული საყალიბე ნარევი ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. საკოპე უბანი გათვალისწინებულია კოპების დასამზადებლად, სხმულის შიდა სიღრუეების ფორმირებისათვის. კოპების დასამზადებლად გამოიყენება ახალი საყალიბე ქვიშა და ეპოქსიდური შემკვრელი. ნარევის დამზადება ხდება შესაბამის ამრევში. წელიწადში იგეგმება 120 მ³ მოცულობის საჩხერეს ქვიშის შემოტანა ნაყარი სახით და დასაწყობდება შენობაში. თიხის შემოტანა განხორციელდება ოზურგეთის რაიონი სოფელი ასკანაში არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან, დახურულ მდგომარეობაში - ბიგ-ბეგებით.

საწარმოში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირება ძირითადად განხორციელდება საშუალო ტვირთამწეობის (20 ტონა და მასზე ნაკლები) ავტოტრანსპორტით, რომლის სიხშირე დღეში არ აღემატება 2-3 ერთეულს. მათი მოძრაობა

იგეგმება მხოლოდ დღის საათებში, ხოლო ღამის საათებში აკრძალული იქნება როგორც ნედლეულის, ასევე პროდუქციის გატანა-შემოტანა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს მუშაობის რეჟიმია დღეში 12 საათი. დილის 8:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე, წელიწადში 300 სამუშაო დღე. დასაქმებული იქნება 25-მდე კაცი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი იქნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ჯართის დნობისას წარმოქმნილი მტვრის დასაჭერად გათვალისწინებულია ასპირაციული ღონისძიებები, კერძოდ ღუმელის თავზე დამონტაჟდება ლითონკონსტრუქციის ქოლგა, საიდანაც გამოყოფილი აირმტვერნარევი ერთიანი გამწოვი სისტემით, მიწისპირიდან 12 მეტრის და 0.8 მ დიამეტრის მილით, ციკლონის გავლით, რომლის ეფექტურობა ტოლი იქნება არანაკლებ 90 % გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, წყალი საწარმოში გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და სახანძრო მიზნებისათვის. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის საწარმო წყალს აიღებს ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. საწარმოო მიზნებისთვის (ინდუქციური ღუმელების გაცივება) დარბილებული წყლის შეძენა გათვალისწინებულია რუსთავის აზოტის ქარხნიდან. გაცივების სისტემა იქნება ბრუნვით რეჟიმში, რისთვისაც გათვალისწინებულია 1 მ³ მოცულობის რეზერვუარი. დანაკარგების შესავსებად რეზერვუარს ყოველდღიურად დაემატება 5 ლიტრი წყალი. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება განხორციელდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში, ხოლო საწარმოო ტერიტორიიდან წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების გაწმენდის მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყობა სამსაფეხურიანი სალექარი, თითოეულის სალექარის მოცულობა იქნება 24მ³ (4მx3მx2მ), ანუ ჯამური მოცულობა სამივე სალექარისა ტოლია 72მ³, საიდანაც წყალი ჩაშვებული იქნება ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემებში შპს „რუსთავის წყალთან“ შეთანხმების საფუძველზე.

საწარმოში ხმაურის წარმოქმნის ძირითად წყაროებს წარმოადგენს ღუმელებიდან წარმოქმნილი აირების გამწოვი სისტემა (80 დბ), ტრანსფორმატორი (75 დბ) და ყალიბების გამობერტყვა (75 დბ), ჯართის დამუშავების უბანი (70 დბ), გზშ-ის ანგარიშში მოცემული გათვლების მიხედვით ხმაურის ჯამური დონე საწარმოს ტერიტორიაზე იქნება 85 დბ, ხოლო საწარმოდან 100 მეტრში შეადგენს 37 დბ-ს. გზშ-ის ანგარიშში მოცემული შეფასების მიხედვით, ხმაურის გავრცელების მაქსიმალური დონე კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, არ აჭარბებს დაშვებულ ნორმებს უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე (300 მ), როგორც დღის, ასევე ღამის საათებისათვის, ხოლო არსებული ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერების (შენობა-ნაგებობები, ხე-მცენარეები) გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელების დონე კიდევ შემცირდება. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშში, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით, განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა და ხმაურის დონეების მონიტორინგი.

საწარმოს საქმიანობის პროცესში მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამის კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილი იქნება ადგილობრივი დასუფთავების სამსახურის მიერ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. საწარმოს

ექსპლუატაციის ეტაპზე, მტვერდამჭერში დაჭერილი მასა (10 02 08), რომლის რაოდენობა წელიწადში არ გადააჭარბებს 8.62 ტონას, ციკლონიდან პირდაპირ ჩაიყრება ტომრებში, დროებით დასაწყობდება საწარმოო შენობაში და შემდეგ გადაეცემა აგლომერაციის საამქროებს. სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრების, ასევე გამოყენებული საპოხი მასალები) შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიებს. ანგარიშის თანახმად ფოლადის სადნობ ღუმელებში წარმოქმნილი წიდა (10 02 01) წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს, რომლის წლიური რაოდენობა 720 ტონა იქნება. წიდა დროებით დასაწყობდება საწარმოო ტერიტორიაზე, რომელიც მობეტონებული იქნება და შემდგომ გადაეცემა იმ საწარმოებს, რომელიც აწარმოებენ სამშენებლო ბლოკებს და გამოიყენება ინერტულ მასალებთან ერთად შემავსებლად.

დოკუმენტაციაში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: არაორგანული მტვერი, რკინის ოქსიდის, მანგანუმის დიოქსიდი, ტყვია და მისი ნაერთები, კადმიუმი სულფატი, ვერცხლისწყალი, ქრომი, სპილენძის ოქსიდი, ნიკელი მეტალური, თუთიის ოქსიდი, აზოტის დიოქსიდი, ნახშირჟანგი და შედუღების აეროზოლი. გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის დროს, რომელშიც გათვალისწინებულია ფონური მახასიათებლები ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით (125-250 ათასი მოსახლეობა), დამატებით ასახულია საწარმოს სიახლოვეს არსებული როგორც შპს „ნიკა 2004“-ის ლითონის დამუშავებისა და სამჭედლო საამქროს, ასევე შპს „სტანდარტ ცემენტის“ ცემენტის საწარმოს ფუნქციონირების პროცესში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები ფონის სახით. ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს უახლოესი კვების მრეწველობის ობიექტის შპს „პროგრესის“ (150 მ) და უახლოესი საცხოვრებელი ზონის (300 მ) საზღვარზე. მაქსიმალური კონცენტრაცია ზდკ-ს წილი, არაორგანული მტვრის 0,83 მგ/მ³). ამდენად შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფოლადის სადნობი საწარმოს ფუნქციონირება სამტატორეჟიმში არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებულია 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის დამონტაჟება. გზმ-ის ანგარიშში აგრეთვე განხილულია საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროცესში კუმულაციური ზემოქმედების საკითხები.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედების რისკებიდან შეფასდა ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე, აკუსტიკურ ფონსა და სატრანსპორტო ნაკადებზე. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაბნევის ანგარიშის მიხედვით ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის დროს, კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში

გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს, უახლოესი კვების მრეწველობის ობიექტის შპს „პროგრესის“ (150 მ) და უახლოესი საცხოვრებელი ზონის (300 მ) საზღვარზე. გაანგარიშებებით ასევე დადგინდა, რომ ადგილი არ ექნება უახლოეს მოსახლესთან ხმაურის დასაშვები მნიშვნელობების გადაჭარბებას, ხოლო საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციისას დაგეგმილი სატრანსპორტო ოპერაციების ოდენობიდან გამომდინარე, სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის გეგმა, საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, რელიეფი, კლიმატი, გეომორფოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობები, ბიოლოგიური გარემო, ნიადაგები, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური, ჰიდრო-გეოლოგიური და სეისმური პირობები. ანგარიშის თანახმად საპროექტო ტერიტორია ხე-მცენარეებისგან თავისუფალია. მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორია ფაუნის მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ფოლადის სადნობი ინდუსტრიული ღუმელების მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე საქმიანობის სპეციფიკისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფეისბუქ-გვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით ინფორმაცია ასევე განთავსდა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ განცხადებები გამოქვეყნდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ზემოაღნიშნული პროექტის გზმ-ის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 21 თებერვალს 14 საათზე, ქ. რუსთავის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ვერო ელოის ფროდაქშენის“, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს, სამოქალაქო საზოგადოება „ეკო ცენტრის“, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ და სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენლები. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ და სამოქალაქო საზოგადოება „ეკო ცენტრის“ შეკითხვები/შენიშვნები ეხებოდა აირმტვერდამჭერ სისტემას, უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის საჭიროებას, საწარმოო შენობის ტიპს და შენობაში ინფრასტრუქტურის განთავსებას, ზეთით დაბინძურებული ჯართის მართვას, საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში არსებული საწარმოს შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენას. აღნიშნულ შენიშვნებსა და შეკითხვებზე განმარტებები გააკეთა კომპანიის წარმომადგენელმა. საჯარო განხილვაზე დასმული საკითხები, დაფიქსირებული პოზიციები, გაცემული პასუხები და განმარტებები აისახა გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილი იყო სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წერილობითი

შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა საწარმოში ორი ღუმელის ერთდროულად ფუნქციონირების საკითხს, საწარმოო შენობის შესახებ ინფორმაციას, უწყვეტი მონიტორინგის სისტემის დამონტაჟების საკითხს, ღუმელიდან გამოყოფილი აირმტვერნარევის ფილტრის შესახებ ინფორმაციას, ლითონის შემცველი მტვრის დროებითი დასაწყობების პირობების შესახებ ინფორმაციას, საწარმოს მოსაზღვრე ტერიტორიების შესახებ ინფორმაციას, წიდის ლაბორატორიული კვლევის საჭიროების და აღნიშნულის პირობის სახით განსაზღვრის საკითხს, საკაზმე ჯართში აღმოჩენილი ფეთქებადი საგნების უსაფრთხო დასაწყობების ტერიტორიის და საქმიანობის ალტერნატივების შესახებ ინფორმაციას. ზემოაღნიშნული საკითხები, სხვა საკითხებთან ერთად, განხილული იქნა შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში (წერილი N2512; 24.03.2023). ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილ შენიშვნებთან დაკავშირებით ვრცელი განმარტებები მოცემულია თანდართულ ცხრილში.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია და თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და მოსაზრებების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-4 პუნქტის 4.1 ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფოლადის სადნობი ინდუსტრიული ღუმელების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ საწარმოს მოწყობამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე

თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები საწარმოს პერიმეტრზე, შპს „პროგრესის“ კვების მრეწველობის ობიექტის ტერიტორიისა და უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე, მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GIS - X,Y კოორდინატები. საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

6. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები.
7. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში კვარტალში ერთხელ, ასევე არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში უზრუნველყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება მტვერ(TSP)-ზე და მავნე ნივთიერება აზოტის დიოქსიდ(NOx)-ზე და შედეგების სააგენტოში წელიწადში ორჯერ წარმოდგენა. ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების დამატებითი ღონისძიებების (მათ შორის საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვა და სხვა) შემუშავება და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული ღონისძიებების შესაბამისად;
8. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ საწარმოს ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიის ღობის გასწვრივ ხე-მცენარეების ზოლის მოწყობა და მისი მოვლა-პატრონობა;
9. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ საწარმოს მოწყობამდე უზრუნველყოს წიდის დროებით დასაწყობების ტერიტორიის შესახებ დეტალური ინფორმაციის (მათ შორის ფართობი, X,Y კოორდინატები, დროებით დასაწყობებული წიდის მოცულობა და სხვა) სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა;
10. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს წიდის ლაბორატორიული კვლევა (პროცენტული შემადგენლობა) და აღნიშნულის გათვალისწინებით წიდის გამოყენების შესაძლებლობის/მიმართულების და კონკრეტული საწარმოების (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციით) განსაზღვრა. ზემოაღნიშნული ინფორმაცია სააგენტოში წარმოდგენილ იქნას საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში;
11. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, განახლებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის საქართველოს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საქმიანობის ეტაპზე წარმოქმნილი წიდის, აირმტვერდამჭერი მოწყობილობის საშუალებით დაჭერილი მტვრისა და სხვა ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაცია. საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უზრუნველყოს საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

12. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საწარმოს ტექნიკური დანადგარების გამართულობასა და აირმტვერდამჭერი სისტემის ეფექტურობაზე მუდმივი მონიტორინგი;
13. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
14. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
15. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენს“;
16. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
17. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
18. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

